

არატექნიკური რეზიუმე

სარჩევი

1. შესავალი	5
2. პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნები და ამოცანები	5
3. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.....	6
4. საჯარო კონსულტაცია	8
5. საკანონმდებლო კონტექსტი.....	8
6. პროექტის ალტერნატიული ვარიანტები.....	8
7. გზის დაგეგმარება და მშენებლობის ტექნიკური მოთხოვნები.....	9
8. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები.....	9
10. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია.....	9
11. ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა.....	10
12. ზემოქმედების ტიპები და შემარბილებელი ზომები.....	10
14. მართვა და მონიტორინგი.....	11
15. პროექტის საერთო შეფასება	12

1. შესავალი

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ შეიძინა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი. შესაბამისად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი გახდა. ვინაიდან სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საავტომობილო გზები წარმოადგენს. გაზრდილმა მოთხოვნამ საავტომობილო გადაზიდვებზე განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქციის და ზოგ შემთხვევაში, ახალი უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის **kp15---kp17** მონაკვეთის ფარგლებში მიმდინარე დეტალური კვლევების ნაწილს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზანია პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების მიერ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, შემარბილებელი ღონისძიებებისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის საკითხების მოგვარება.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმას, ითვალისწინებს, როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მთავრობის დადგენილებების, ასევე საერთაშორისო გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია გარემოსდაცვით შეფასებასთან, კერძოდ გეოლოგიურ გარემოსთან, ბუნებრივ ჰაბიტატებთან, ტყეებთან და მატერიალურ კულტურულ რესურსებთან დაკავშირებულ საოპერაციო პოლიტიკა/პროცედურებში.

2. პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნები და ამოცანები

ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში პროექტის მიზანია აღწეროს თბილისის შემოვლითი გზის **(kp14-kp21)** მონაკვეთის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მოსალოდნელი ნეგატიურ ზემოქმედებათა სახეები და უზრუნველყოს პროექტისათვის დამახასიათებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და შემდგომში მათი განხორციელება, მონიტორინგისა და ინსტიტუციონალური ზომების მეშვეობით, რათა მისაღებ ღონემდე შემცირდეს ან მთლიანად აღმოიფხვრას ასეთი სახეები.


ზემოაღნიშნული მიზნების შესრულება გულისხმობს შემდეგს:

- მინიმუმამდე შემცირდეს პროექტის მიერ დატოვებული კვალი (გასხვისების დერეფნის, დროებითი ნაგებობა-მოწყობილობებისა და მისასვლელი გზების ჩათვლით);
- გამოირიცხოს ნიადაგისა და ზედაპირული წყლების თუნდაც უმნიშვნელო დაბინძურება;
- გამოირიცხოს სენსიტიური ტერიტორიებისა და არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი უბნების არსებობის შემთხვევაში მათი დაზიანება;
- არ განხორციელდეს დროებითი მისასვლელი გზების გაყვანა ისეთ უბნებამდე, რომლებამდეც სხვა სახის მისადგომები არსებობს;
- მოხდეს დროებით გამოყენებული ტერიტორიების აღდგენა (რეკულტივაცია).

3. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება დეტალური და მკაცრად განსაზღვრული პროცესია, რომელიც შედგება თანამიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული საფეხურებისაგან, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოდმოყვანილ სქემაზე.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი



თბილისის შემოვლითი გზის კპ14-კპ21 ალტერნატიული მონაკვეთის ფარგლებში ახალი ტრასის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ამოცანაა აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობითა და შემდგომი ექსპლუატაციით გამოწვეული ნებისმიერი არასასურველი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების იდენტიფიცირებისა და სადაც შესაძლებელია, გამორიცხვის ან მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფა, მათზე ადრეული რეაგირების გზით. ამ პროცესის კიდევ ერთი საკვანძო ამოცანას წარმოადგენს ყველა ზომების მიღება საჯაროობისა და ინფორმაციის გაერცელების უზრუნველსაყოფად.

4. საჯარო კონსულტაციები

კონსულტაციები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს, როგორც საზოგადოების მიერ სამუშაოთა ჩატარების აუცილებლობის კარგად გაგებას, ისე პრობლემატური საკითხების ადრეულ გამოვლენასა და შეთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების სათანადო განხილვას. პროექტის საწყისი სტადიებიდანვე, საჭიროა შეიქმნას ურთიერთგაგების საფუძველი მომავალში გრძელვადიანი კარგი ურთიერთობების დამყარების მიზნით.

გარდა აღნიშნულისა საჯარო კონსულტაციებით უნდა წარიმართოს დიალოგი საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე მსოფლიო ბანკსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

5. საკანონმდებლო კონტექსტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ყველა სამუშაოს ჩატარება განხორციელდება, როგორც საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, ასევე საერთაშორისო პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში, რაც უზრუნველყოფს კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებას.

6. პროექტის ალტერნატიული ვარიანტები

არსებული გზის სარეკონსტრუქციო მონაკვეთის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევასთან დაკავშირებული ასპექტები, დეტალურად არის განხილული გზმ-ს ანგარიშის მე-8 თავში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებლობის (ნულოვანი) ვარიანტი უკუგდებული იქნა ტექნიკურ-ეკონომიკური მოსაზრებებით, რადგან პროექტის საბოლოო ეფექტები ბევრად აღემატება ნებისმიერ შესაძლო უარყოფით ზემოქმედებას. შესაძლებელია პროექტების განხორციელების შემთხვევაში ადგილი ჰქონდეს მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეულ გარკვეულ პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, მაგრამ ნულოვანი ვარიანტი ვერ უზრუნველყოფს არსებულ ტრასაზე ტრანსპორტის გადაადგილების უსაფრთხოების პირობებს.

7. გზის სარეკონსტრუქციო მონაკვეთის ადმინისტრაციული კუთვნილება

სამშენებლო-სარეკონსტრუქციო საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოვლითი საავტომობლო გზის **kp14—kp21** სამშენებლო ალტერნატიული მონაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისის გარეუბანსა და გარდაბნის რაიონის სოფ. ნორიოს მიმდებარედ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული. ადმინისტრაციულად იგი ქ. თბილისისა და გარდაბნის რაიონის ტერიტორიებზეა განთავსებული.

8. გზის დაგეგმარების და მშენებლობის ტექნიკური მოთხოვნები

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის ალტერნატიული **kp14—kp21** მონაკვეთის ფარგლებში ტრასის პროექტირების დროს გამოყენებული იქნება საავტომობილო გზებთან დაკავშირებული ამჟამად სახელმწიფოში მოქმედი სტანდარტები, რომელიც განსაზღვრულია წლის სამშენებლო ნორმებითა და წესებით (სნ და წ № 2.05.02.85 „საავტომობილო გზები“).

ამ სტანდარტების მიზანია მეორე კატეგორიის საავტომობილო გზის დაგეგმვა და პროექტირება იმგვარად, რომ საავტომობილო გზამ უზრუნველყოს ტრანსპორტის მოძრაობის სათანადო მოცულობა მინიმალური საოპერაციო ხარჯებით, ასევე შეიქმნას მომსახურების სათანადო დონე საავტომობილო გზის მომხმარებლებისათვის, რაც გულისხმობს უსაფრთხოებას, სიჩქარეს და მძღოლების კომფორტს საშუალო და გრძელ მანძილებზე გადაადგილებისას.

9. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები

საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოები ითვალისწინებს მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ტრასის ახალი ალტერნატიული მონაკვეთის მშენებლობა და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები უნდა განხორციელდეს პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიების საზღვრების მკაცრი დაცვით.

ტრასის ახალი ალტერნატიული მონაკვეთის ფარგლებში გზის ვაკისის მომზადების დროს მოჭრილი ხეების და ბუჩქების დასაწყობება უნდა მოხდეს სპეციალურად მისთვის გამოყოფილ ტერიტორიებზე, ხოლო მოჭრილი ხეების და ბუჩქნარის გატანა არსებული და დროებითი გზებით. მცენარეული საფარისაგან გაწმენდის შემდეგ მშენებლობებისათვის გამოყოფილ ტერიტორიებზე უნდა მოიჭრას ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენა, ხოლო გატანა და დასაწყობდება მოხდეს წინასწარ შერჩეულ ტერიტორიაზე.

მოსამზადებელი სამუშაოების შემადგენლობაში შედის დროებითი სამშენებლო ბანაკების ტერიტორიების მოწყობის საკითხები, რაც ასევე საჭიროებს გარემოსდაცვითი საკითხების აუცილებლად გათვალისწინებას.

10. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია

შეფასების პროცესი შედგება შემდეგი მთავარი ამოცანებისაგან:

- სამუშაოს შინაარსის განსაზღვრა;
- დეტალური ფონური ინფორმაციის შეგროვება;
- ზემოქმედების შეფასება;
- შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა;
- გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და მონიტორინგის გეგმის შემუშავება.

ინფორმაციის გავრცელებასა და წინასწარ კონსულტაციებს ადგილი ქონდა პროცესის მსვლელობის ეტაპებზე.

11. ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა

ნებისმიერი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე მნიშვნელოვანია ბუნებრივი გარემოს არსებული, ანუ ფონური მდგომარეობის განსაზღვრა.

ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობის განხილვა მოხდა პროექტით დაგეგმილ საქმიანობებთან ურთიერთკავშირში, რათა განსაზღვრულიყო პოტენციური ზემოქმედების ტიპები.

შემოთავაზებული ალტერნატიული ტრასის ფარგლებში არსებული არსებული ბუნებრივი გარემო არ ხასიათდება მრავალფეროვანი ეკოლოგიური პირობებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

გარემოს ფონური მდგომარეობის შეფასების პროცესში განხილული იქნა შემდეგი ასპექტები:

- კლიმატი და მეტეოროლოგია;
- გეოლოგია, გეომორფოლოგია;
- საინჟინრო გეოლოგია;
- ჰიდროლოგია;
- ნიადაგები და მიწათსარგებლობა;
- ატმოსფერული ჰაერი;
- მცენარეული საფარი;
- სეისმური პირობები;

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის ძირითად ნაწილში.

12. ზემოქმედების ტიპები და შემარბილებელი ზომები

პროექტის ძირითადი მიდგომა მდგომარეობს თბილისის შემოვლითი არსებული გზის გლდან-ნორიოს მონაკვეთის ალტერნატიული ვარიანტის დაპროექტების პროცესში ზემოქმედების თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფაში. პროექტირების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებული იქნა სენსიტიური და საშიში გეოტექნიკური უბნები, შესაძლებელი შეიქმნა დაზუსტებულიყო შერჩეული ტერიტორიების ეკოლოგიურად მისაღები საბოლოო ვარიანტი. ეკოლოგიური რეკუპტორების ადგილმდებარეობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით დაპროექტების ეტაპზე შემუშავდა და პროექტში ჩაიღო პოტენციური ზემოქმედებების სახეები და მათ შესამცილებლად და/ან თავიდან ასაცილებლად საჭირო შემარბილებელი ზომები.

13. მართვა და მონიტორინგი

სახელმწიფოს მიდგომა ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მართვისადმი არის ეკოლოგიური და სოციალური გარემოს დაცვის პრიორიტეტული პრინციპი. აღნიშნული პრინციპებია:

- ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების წინასწარი შეფასება;
- პოტენციური ზემოქმედებების მინიმუმადე შემცირება, პროექტირებისა და შემარბილებელი ღონისძიებების აუცილებელი განხორციელების გზით;
- კონტროლის ეფექტურობის მონიტორინგი (თვითმონიტორინგი);
- შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება.

მშენებლობის ეტაპზე გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო სისტემა შემუშავებული იქნება ორ დონეზე:

- მშენებლის მიერ შემუშავდება გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო სისტემა მშენებლობის პროცესის ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტთა სამართავად; თვითეული განსხვავებული საკითხის დასარეგულირებლად მომზადებული იქნება ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმათა თანამიმდევრული რიგი;
- მომზადდება პროექტის საერთო გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო სისტემა, რომლის მიზანია უზრუნველყოს მშენებლის მოქმედება პროექტით განსაზღვრულ ეკოლოგიურ და სოციალურ მოთხოვნათა შესაბამისად, იმ მოთხოვნების ჩათვლით, რომლებიც მოცემულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში. ამ პროცესის უმთავრესი ელემენტებია: პროექტის სპეციფიკური ეკოლოგიური და სოციალური საკითხების შემუშავება და გავრცელება; ეკოლოგიურ და სოციალურ საკითხთა შემუშავება და განხორციელება; გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო სისტემის თვითეული ელემენტის მიმდინარე მონიტორინგი (თვითმონიტორინგი) რეგულარული კონტროლისა და მუდმივი გაუმჯობესების პროგრამის მეშვეობით.

არსებულ პროექტთან მიმართებაში გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო სისტემის ეფექტურად განხორციელება ეფუძნება ეკოლოგიური და სოციალური გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას. აღნიშნული გეგმებია:

- ტრანსპორტის მიძრაობის მართვის გეგმა;
- ტერიტორიების კომლექსური აღდგენის მართვის გეგმა;
- ლანდშაფტის ჰარმონიზაციის მართვის გეგმა;
- დაბინძურების თავიდან აცილების (პრევენციის) მართვის გეგმა;
- ნარჩენების მართვის გეგმა;

- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- კულტურული ძეგლების მართვის გეგმა.

აღნიშნული გეგმები პროექტის სახით მოცემულია წინამდებარე გზშ-ს ფორმატში, რომელზე დაყრდნობით მშენებელმა სამუშაოთა დაწყებამდე უნდა შეიმუშავოს და ინვესტორთან შეთანხმოს გეგმები საბოლოო სახით, რომლის შესრულებაც მას მოუწევს მშენებლობის მთელ ფაზაზე.

14. პროექტის საერთო შეფასება

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის ალტერნატიული მარშრუტის (kp14_kp21) დაზუსტებისას გათვალისწინებული იქნა ტრასის შერჩევის მეთოდიკა და პროექტირების ფილოსოფია, რასაც საფუძვლად დაედო ქვემოთ მოცემული დამახასიათებელი შემარბილებელი ზომები:

- გარემოზე ზემოქმედების შესაძლებლობის ფარგლებში ზემოქმედების თავიდან აცილება გულდასმითი დაპროექტებისა და ტრასის შერჩევის საშუალებით. დაპროექტების ადრეულ ეტაპებზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების პოტენციური მიღწეული იქნა ტრასის ფრთხილი შერჩევით, აგრეთვე გარემოსდაცვითი, კულტურულ და სოციალური თვალსაზრისით სენსიტიური ტერიტორიების მაქსიმალურად, შესაძლებლობის ფარგლებში გვერდის ავლით;
- ალტერნატიული ტრასის შეფასების პროცესში შეირჩა საკითხები, რომლებიც ითვალისწინებდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს, რელიეფისა და გეოსაშიშროებებს, გრძელვადიანი მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობებს და სხვა;
- სადაც შესაძლებელია, პროექტმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობა მდგრადი განვითარებით;

ზოგადად, პროექტით გათვალისწინებულმა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა და საავტომობილო გზის ექსპლუატაციამ უნდა უზრუნველყოს როგორც გარემოს მდგომარეობის სტაბილურობა, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის ფარგლებში ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა.